

საერთაშორისო სტანდარტები

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO)

ყველაზე მსხვილი და ავტორიტეტული ორგანიზაცია ზემოხსენებული სამი ორგანიზაციიდან. ISO-ს სტანდარტები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ქვეყნების მოწინავე სამეცნიერო - ტექნიკურ გამოცდილებას, მიზნად ისახავენ პროდუქციისადმი ერთიანი მოთხოვნების უზრუნველყოფას საერთაშორისო საქონელბრუნვაში, მაკომპლექტებელი ნაკეთობების ურთიერთშენაცვლებადობის, გამოცდის მეთოდების ერთიანობისა და ნაკეთობების ხარისხის შეფასების ჩაღვლით. ISO-ს საერთაშორისო სტანდარტების მომხმარებელია - სამრეწველო და საქმიანი წრეები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მომხმარებლები და საზოგადოება მთლიანობაში. ISO დიდ ყურადღებას აქცევს სავაჭრო - ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ითხოვს განსაზღვრული გადაწყვეტილებების განვითარებას საბაზრო ეკონომიკისა და იმ სქემების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო სისტემების პოტენციური შესაძლებლობების სრულად გამოყენებას, ამასთანავე, პირველ რიგში, განვითარებადი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებისა და გლობალური ბაზრის თანასწორუფლებიან პირობებში.

დღეისათვის აუცილებელ პირობას ყველა ქვეყანაში წარმოადგენს რთული პროდუქციის გამოცდა მისი უსაფრთხოების, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საშიშროების მიმართ ტექნიკური სახელმძღვანელოების მოთხოვნების შესაბამისობაზე პროდუქციის რეალიზაციამდე. ISO - მ დიდი წვლილი შეიტანა სტანდარტების დიდი რაოდენობის შემუშავებაში, რომლის შესაბამისობაზეც ფასდება გამოსაშვები პროდუქცია, და აგრეთვე გამოცდის სტანდარტული მეთოდების შემუშავებაში, რომლებიც შესაძლებელს ხდიან შედეგების შედარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სავაჭრო ვაჭრობის განვითარებისათვის.

ISO და IEC ერთობლივად ამუშავებენ ISO/IEC-ის სახელმძღვანელოებს, რომლებშიც მოცემულია შესაბამისობის შეფასების სხვადასხვა ასპექტები. აღნიშნულ სახელმძღვანელოებში განხილულ ნებაყოფლობითი კრიტერიუმები შედეგია საერთაშორისო კონსენსუსისა საუკეთესო ხერხებისა და მიდგომების მიმართ. მათი გამოყენება უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობისა და მოწესრიგების შესაბამისობის შეფასებას მთელს მსოფლიოში და ამით ხელს უწყობს სავაჭრო-სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას.

საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია (IEC)

შექმნილია 1906 წელს. წარმოადგენს ერთერთ უძველეს საერთაშორისო ორგანიზაციას. მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია ელექტროტექნიკური და ელექტრული მოწყობილობების ფიზიკური მახასიათებლების ბირთვული ხელსაწყოთმშენებლობის, ლაზერული ტექნიკის, კავშირგაბმულობის საშუალებების, საავიაციო და კოსმოსური ხელსაწყოთმშენებლობის, გემთმშენებლობისა და საზღვაო ნავიგაციის, ატომური ენერჯის, ინფორმატიკის, აკუსტიკის, სამედიცინო ტექნიკის სტანდარტიზაციასთან. ძირითადი ყურადღება ბოლო წლებში ეთმობა საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას გამოსაყენებელი მოწყობილობების უსაფრთხოების, საიმედოობისა და ელექტრომაგნიტური შეთავსების დარგში, და აგრეთვე მის უსაფრთხოებას გარემოსათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტები მუშავდება კონსენსუსისა და მათში ჩადებული მოთხოვნების ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე, პრაქტიკაში პროდუქციის მათზე შესაბამისობა, არსებითად, აუცილებელია, რადგან წარმოადგენს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და დაშვების კრიტერიუმს. ისევე როგორც ISO-ში IEC-ის წევრებს წარმოადგენენ სტანდარტიზაციის ტექნოლოგიების ეროვნული ორგანიზაციები (კომიტეტები) შესაბამის დარგებში, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი ქვეყნების ინტერესებს საერთაშორისო სტანდარტიზაციის საქმეში. დღეისათვის IEC შემადგენლობაში შედის 50-ზე მეტი ასეთი წევრებისა.

ელექტროგაბმულობის საერთაშორისო კავშირი (ITU)

წარმოადგენს საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც სპეციალიზდება ელექტროგაბმულობის სტანდარტიზაციის სფეროში. ის აერთიანებს 500-ზე მეტ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციას. მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა ქვეყნების სატელეფონო, სატელეკომუნიკაციო და საფოსტო სამინისტროები, უწყებები და სააგენტოები, და აგრეთვე ორგანიზაციები-მომწოდებლები. ტელესაკომუნიკაციო სერვისის უზრუნველყოფის მოწყობილობებისა.

ITU-ს ძირითად ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე ჰარმონიზებული წესებისა და რეკომენდაციების შემუშავების კოორდინირება, რომლებიც განკუთვნილია გლობალური ტელექსელებისა და მათი სერვისების აგებისა და გამოყენებისათვის. ამ წამყვანი სტანდარტიზაციის ორგანიზაციების საქმიანობა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და კოორდინირებულია. გამოიყენება

თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები საერთაშორისო სტანდარტების საყოველთაო სისტემის შემუშავებისათვის. საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობა მატულობს სტანდარტების შემუშავების პროცესში სულ უფრო დიდი რაოდენობის პროფესიული ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართვით, სამრეწველო ალიანსთან თანამშრომლობის განვითარებით.

სტანდარტები ICC

ICC - Internatioal Code Council (ნორმებისა და წესების

საერთაშორისო საბჭო)

ნორმებისა და წესების საერთაშორისო საბჭო შეიქმნა 1994 წელს, როგორც არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს ეროვნული სტანდარტების ერთიანი კომპლექსური და შეთანხმებული მოდელის შემუშავება, რომელიც ეხება მშენებლობას.

ICC-ის დამფუძნებლები არიან შენობების ინსპექცია და ნორმატივების დაცვის ზედამხედველობის ადმინისტრაცია (BOKA - Building Officials and Code Administrators International), შენობების ინსპექტორების საერთაშორისო კონფერენცია (ICBO-International Conference of Building Officials). გასული საუკუნის დასაწყისიდან ეს არაკომერციული ორგანიზაციები ანვითარებდნენ სამ ცალკეულ მიმართულებას სტანდარტიზაციის დარგში აშშ-ს ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტიზაციის რეგიონული განვითარება იყო ეფექტური და შეესაბამებოდა ქვეყნის მოთხოვნებს, დადგა დრო ერთიანი მიმართულების შექმნისათვის. ეს სამი ჯგუფი, რომელიც ამუშავებდა ეროვნული სტანდარტების მოდელს, გაერთიანდა ნორმებისა და წესების საერთაშორისო საბჭოს შექმნისა და ეროვნული შეზღუდვების გარეშე საერთაშორისო დონის სტანდარტების განვითარებისათვის.

ნორმებისა და წესების საერთაშორისო საბჭო წარმოადგენს საწევრო ასოციაციას, რომელიც განკუთვნილია ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ხანძარსაწინააღმდეგო ზომების შემუშავებისათვის; სტანდარტების განვითარებისათვის, რომელიც გამოიყენება საცხოვრებელი და სამრეწველო შენობების ასაგებად, სახლებისა და სკოლების ჩათვლით.